

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 4 ივნისი, 11:00 საათი

დღის წესრიგი

1. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი

- წერილი შეეხება მოძრავი ქონების ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემას.

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

2. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი

- წერილი შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის მშენებლობის მიზნით ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული შენობებების დემონტაჟს.

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

3. მოსამართლეთა განცხადებები გამოსაცდელი ვადის შეწყვეტისა და უვადოდ გამწესების თაობაზე

- წარდგენილ იქნება ინფორმაცია მოსამართლეთა ლ. ბესტავაშვილის, ნ. გერგაულის, ჯ. კოპალიანის, ნ. მარსაგიშვილის, ზ. მარუაშვილის, დ. პაპუაშვილისა და მ. ხათაშვილის მონაცემების შესაბამისობის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 794 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

4. გადაწყვეტილების პროექტი - „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 18 მარტის №1/152 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტის საფუძველზე საგამოცდო კომისიის წევრთან შრომით ხელშეკრულებას გააფორმებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ნაცვლად სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

5. მოსამართლე შ. ყაველაშვილის განცხადება

- განცხადებაში მოსამართლე ითხოვს შემფასებელი წევრის (ა. დოლიძის) აცილებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

6. მოსამართლე გ. დიდავას განცხადება

- განცხადებაში მოსამართლე ითხოვს მის მიმართ კონკურსის გარეშე დანიშვნის წესის გამოყენებას და თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშვნას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წერილი

- წერილში თავმჯდომარე ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინებული მოსამართლეების ი. ზარქუასა და ლ. ცანავასთვის მივლინების ვადის გაგრძელებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ვასილ მშვენიერაძე
➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

8. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხის, აპარატის მოხელეთა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს შტატით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ თანამდებობად გარდაქმნასა და დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატში 1 საშტატო ერთეულის დამატებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

9. გადაწყვეტილების პროექტი - „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №1/61 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საშტატო ნუსხაში 10 სხდომის მდივნის დამატებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ირაკლი შენგელია

10. გადაწყვეტილების პროექტები - „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 18 იანვრის №1/5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტები ითვალისწინებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის უფლებამოსილებებში სტრატეგიიდან გამომდინარე ცვლილებას შშმ პირთათვის გარემოს ადაპტირების უზრუნველსაყოფად.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან გზირიშვილი

11. გადაწყვეტილების პროექტები - „საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“

„საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 18 მაისის №1/5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტები ითვალისწინებენ საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების წესის განსაზღვრას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან გზირიშვილი

12. კანონპროექტი - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

- პროექტი ეხება მოწმისა და გამოსაკითხი პირის იურიდიული დახმარების უფლებით უზრუნველყოფას, ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესზე მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა დასწრების შესაძლებლობას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან გზირიშვილი

13. საქართველოს სახალხო დამცველის წერილი

- წერილი ეხება მესტიის მაგისტრატ სასამართლოში საქმეთა განხილვის ტენდენციას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

14. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს მოსამართლეთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სისტემის დახვეწას, სავალდებულო სწავლების საათების მიზანშეწონილობის დადგენას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ირმა გელაშვილი

15. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სარეზერვო სია

- სიის შექმნა გათვალისწინებულია 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიით, კერძოდ მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში 3.1.1.4 აქტივობის სახით.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ირმა გელაშვილი

16. გადაწყვეტილების პროექტი - „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №1/98 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

- პროექტი ითვალისწინებს კომისიის შემადგენლობაში ცვლილების განხორციელებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე